დასკვნა

შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

არსებული ტექნიკური სართულის სრულ სართულად გადაკეტების შესაძლებლობის დადგენასთან დაკავშირებით.

არსებული შენობა მდებარეობს ქ. თბილისში გიორგი წერეთლის გასასვლელი №3-ში. და წარმოადგენს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო "S" კორპუს. შენობა აშენებულია გასული საუკუნის 80-ნ წლებში, შენობა 9 სართულიანია და სახურავის დონეზე გააჩნია ტექნიკური სართული, იგი გეგმაში რთული გეომეტრიული ფორმისაა, წარმოადგენს კარკასული ტიპის ნაგებობას, შუაში გა თავსებულია სამკუთხედი ფორმის ნაკვეთური – კიბის უჯრედით, ხოლო მასზე ხისტად დაკავშირებული არის 3 მართკუთხედი ფორმის (გაბარიტული ზომებით 6X20 მ.-ზე) შენობა. სასწავლო კორპუსზე სართულშუა და ტექ. სართულის გადახურვა შესრულებულია ღრუტანიანი ანაკრები ფილებით. სახურავი ე.წ. ბრტყელია და დახურულია რულონური ჰიდროსაიზოლაციო ფენით, რომელიც გარშემორტყმულია პარაპეტით.

შენობის ვიზუალური დათვალიერების შედეგად მზიდ კონსტრუქციებზე რაიმე სახის დაზიანება და/ან დეფორმაციები, ბზარები, არ აღმოჩენილა. მისი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ესკიზური პროექტის მიხედვით დაგეგმილია ე.წ. ტექნიკური სართულის გადაკეთება სრულ სართულად. მოიხსნება სახხეენო გადახურვაზე რკ.ბეტონის ანაკრები ფილები და შეიცვლება ქანობიანი სახურავით, თუნუქის ბურულით.

წარმოდგენილი ესკიზური ნახაზების საფუძველზე დასაშვებად მიგვაჩნია აღნიშნულ შენობაზე, მის მთლიან პერიმეტრზე ტექნიკური სართულის გადაკეთება სრულ სართულად. რეკონსტრუქცია განხორციელდეს სათანადოთ დამუშავებული პროექტის მიხედვით.

დასკვნა: აღნიშნული სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები საფრთხეს არ შეუქმნის შენობის ტექნიკურ მდგომარეობას როგორც მშენებლობის დროს ასევე მისი ხანგრძლივი ექსპლუატაციის პერიოდში

ილიაუნის საინჟინრო ფაკულტეტ
მშენებელ-კონსტრუქტორი *ს. პაპაშვილი*

